

Tskaltubo




კვლევა

წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის
განაშენიანების გზა

დანართი 1 წყალტუბოს გამწვანებელი სივრცეების
კვლევის ანბარი

ავტორები: გიორგი კაპანაძე
(მეტყვევა-ექსპერტი)



თეიმურაზ ნაფეტვარიძე
(მეტყვევა-ექსპერტი)



საპროექტო ჯგუფი
შპს "ბაუ დიზაინი"


მიშა ბალიაშვილი
ანა ნაცვლიშვილი
შოთა დემეტრაშვილი
ნინო ხარშილაძე
ნუცა ლომსაძე
ელისაბედ არჩვაძე

საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი

მარკო არდიელი

BAU
BAU DESIGN
BUREAU OF
ARCHITECTURE &
URBAN DESIGN

მ. ბალიაშვილი
ა. ნაცვლიშვილი



შემსყიდველი

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და
ინფრასტრუქტურისა და
სამინისტრო



ტექსტური ნაწილის შინაარსი:

1	შესავალი.....	3
1.1	საკვლევ არეალში გავრცელებული სახეობები.....	3
1.2	ნარგობათა მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია.....	5
2	სექტორებში არსებულ ნარგობათა მდგომარეობის შეფასება.....	7
2.1	სექტორი A01.....	7
2.2	სექტორი A02.....	9
2.3	სექტორი A03.....	9
2.4	სექტორი A04.....	10
2.5	სექტორი B01.....	11
2.6	სექტორი B02.....	12
2.7	სექტორი B03.....	13
2.8	სექტორი B04.....	13
2.9	სექტორი B05.....	14
2.10	სექტორი B06.....	15
2.11	სექტორი B07.....	16
2.12	სექტორი B08.....	17
2.13	სექტორი B09.....	17
2.14	სექტორი B10.....	18
2.15	სექტორი B11.....	19
2.16	სექტორი C01.....	20
2.17	სექტორი C02.....	21
2.18	სექტორი C03.....	21
2.19	სექტორი C04.....	22
2.20	სექტორი C05.....	23
2.21	სექტორი C06.....	23
2.22	სექტორი C07.....	24
2.23	სექტორი C08.....	25
2.24	სექტორი C09.....	26
2.25	სექტორი C11.....	27
2.26	სექტორი C12.....	28
2.27	სექტორი C13.....	29
2.28	სექტორი C14.....	30
2.29	სექტორი C15.....	31
2.30	სექტორი C16.....	31
2.31	სექტორი C17.....	32
2.32	სექტორი C18.....	33
3	ნარგავების მოვლის, მავნებლებელ დაავადებებთან ბრძოლისა და მაღალპროდუქტიული კორომის შექმნის რეკომენდაციები.....	35

1 შესავალი

1.1 საკვლევ არეალში გავრცელებული სახეობები

საკვლევ ტერიტორიაზე ნარგავების ინვენტარიზაციის პროცესში აღწერა 84 სახეობა, ესენია:

N	მერქნიანი მცენარეების ჩამონათვალი (ქართულად)	მერქნიანი მცენარეების ჩამონათვალი (ლათინურად)	შენიშვნა
1	აბელია მრავალყვავილა	Abelia floribunda	
2	აილანთუსი	Ailantus altissima	
3	აკაცია თეთრი	Robinia pseudoacacia	
4	ალვის ხე	Populus pyramidalis	
5	ამორფა	Shrubby	
6	არიზონას კვიპაროსი	Cupressus arizonica Greene	
7	არღავანი	Cercis siliquastrum	
8	ასკილი	Rosa canina	
9	ბიოტა აღმოსავლეთის	Platycadus orientalis	
10	ბოყვი დიადი	Acer welutinum	
11	ბროწეული	Punica granatum	
12	გინკო ორნაკვითიანი	Ginko bileba	
13	გლიცინია (ცისვაზი)	Wisteria sinensis	
14	გრაკლა	Spiraea crenata	
15	დაფნა კეთილმოხილი	Laurus nobilis	
16	დიდებული იუკა	Yucca grandifolia	
17	დიდყვავილა მაგნოლია	Magnolia grandiflora	
18	ევკალიპტი ლურჯი	Eucalyptus globulus	
19	ვაშლი	Malus	
20	ვეიგელია	Weigelia	
21	ვერხვი კანადური	Populus deltoides	
22	თელა მინდვრის	Ulmus minor	
23	თელა ჩვეულებრივი	Ulmus foliacea	
24	თეთრი ხვალა	Populus alba	
25	თუია დასავლეთის	Thuja occidentalis	
26	თხილი ჩვეულებრივი	Corylus avellana	
27	თხმელა ბუსუსიანი	Alnus barbata	
28	იაპონური კომში	Chaenomeles japonica	
29	იაპონური კრიპტომერია	Cryptomeria japonica	
30	იაპონური საკურა	prunus surrullata	
31	იაპონური ჭანჭყაყი	Euonymus japonicus aureus	
32	ირმის რქა	Lagerstroemia indica	
33	იფანი ჩვეულებრივი	Fraxinus exelsior	
34	კატალპა დასავლეთის	Catalpa speciosa	
35	კედარი ატლასის	Cedrus atlantica	
36	კედარი ჰიმალაის	Cedrus deodara	
37	კვიდო იაპონური	Ligistrum japonicum	
38	კვიდო ჩვეულებრივი	Ligistrum vulgare	
39	კუნელი შავი	Crataegus pentagina	
40	ლიქვიდამბრი	Luquidambar styraciflua	
41	ლუზიტანური კვიპაროზი	Cupressus lusitanica	
42	მაგნოლია ფოთოლმცვენი	Magnolia betty	
43	მაკლურა	Maclura aurantiaca	
44	მარადმწვანე კვიპაროზი პირამიდალური	Cupressus sempervirens pyramidalis	

45	მარადმწვანე კვიპაროზი ჰორიზინტალური	Cupressus sempervirens horizontalis	
46	მეტასეუქვოია	Matasequoia glyptostroboides	
47	მტირალა ტირიფი	Salix babilonica	
48	მუნა მარადმწვანე (იაპონური)	Quercus acuta	
49	მუნა ქართული	Quercus iberica	
50	მუნა იმერული	Quercus imeretina	წითელი ნუსხა
51	ნანდინა	Nandina domestica	
52	ნეკერჩხალი ამერიკული	Acer negundo	
53	ნეკერჩხალი იაპონური (მარაოსებრი)	Acer palmatum	
54	ნეკერჩხალი მინდვრის	Acer campestre	
55	ოლიანდრა	Neriun oleander	
56	პალმა მარაოსებრი	Trachycarpus	
57	პალმა ფინიკის	Phoenix dactylifera	
58	რცხილა კავკასიური	Catpinus caucasica	
59	სამეკალა გლედიჩია	Gleditschia triacanthos	
60	სირვაშლა	Cotoneaster integerrima	
61	ტყემალი	Prunus cerasifera	
62	უთხოვარი	Taxus baccata	
63	ფიჭვი ბიჭვინთის	Pinus pityusa	
64	ფიჭვი ზღვისპირის	Pinus pinaster	
65	ფიჭვი იტალიური	Pinus pinea	
66	ფიჭვი კავკასიური	Pinus sosnovskyi	
67	ქაფურის ხე	Cinnamomum camphora	
68	ქოლგა ფმატი	Elaeagnus umbellata	
69	ღვია	Juniperus virginiana	
70	ღვია გართხმული	Juniperus depressa	
71	ჩვეულებრივი წაბლი	Castania sativa	
72	ცაცხვი ევროპული	Tilia europaea	
73	ცაცხვი კავკასიური	Tilia caucasica	
74	ცხენისწაბლი	Aesculus hippocastanum	
75	ცხრატყავა პრიალა	Lonicera pileata	
76	წნორი	Salix alba	
77	წყავი ჩვეულებრივი	Laurocerasus officinalis	
78	ჭადარი აღმოსავლეთის	Platanus orientalis	
79	ხეტიტა (ჩვეულებრივი ლირიოდენდრონი)	Liriodendron tulipifera	
80	ჯონჯოლი ჩვეულებრივი	Staphylea pinnata	
81	ვერცხლისფერი ნაძვი	Picea pungens	
82	ტაქსოდუმი (ჭაობის კვიპაროსი)	Taxodium distichum	
83	მექსიკური ტაქსოდუმი	Taxodium mucronatum	
84	ჭყორფოთოლა მუნა		

1.2 ნარგაობათა მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია

წყალტუბოს გამწვანებულ სივრცეს შერეული (წიწვოვანი და ფოთლოვანი) მაღალპროდუქტიული კორომი ქმნის. კორომის შემქმნელი სახეობები ძირითადად ინტროდუცირებული, არაადგილობრივი სახეობები არიან. მათ შორის მრავალი ეგზოტიკური სახეობაა, რომლებიც არათუ ერთეული სახით არიან წარმოდგენილი, არამედ მოზრდილ, კარგად განვითარებულ კორომებს ქმნიან, როგორც წყალტუბოს პარკის, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ვინაიდან კვლევა ტარდება ურბანულ-სარეკრეაციო სივრცეში, სადაც ნაკლებად გვხვდება ერთგვაროვანი ნარგაობები და მცენარეთა უდიდესი ნაწილი დარგულია ურბანულ-დეკორატიული დანიშნულებით, კვლევისათვის საჭირო გახდა ყველა გავრცელებული სახეობის ინდივიდუალური შეფასება და კორომის საერთო მდგომარეობის დადგენა.

კორომის მდგომარეობის შეფასებისას რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით გამოყოფილ იქნა სამი კატეგორიის ნარგაობები:

I - მდგრადი კორომი;

II - დარღვეულია კორომის მდგრადობა;

III - დაკარგულია კორომის მდგრადობა.

ნარგავების მდგომარეობის შეფასებისას გამოიყოფა ხეების მდგომარეობის 6 კატეგორია:

1. დასუსტების გარეგნული ნიშნების გარეშე - ხშირი, კარგად ფორმირებული ვარჯი, ნორმალური და დამახასიათებელი მოცემული ხნოვანებისათვის, მიმდინარე წლის ნორმალური ნაზარდი ზრდის პირობების და სეზონის გათვალისწინებით;
2. დასუსტებული - ვარჯი სუსტად აჟურულია, ნაზარდი დასუსტებული და დამოკლებულია, ფოთლების/წიწვების ფერი ნორმალურთან შედარები შეცვლილია, გაღიავეებულია, გამხმარია ტოტების $\frac{1}{4}$;
3. ძლიერ დასუსტებული - წინა კატეგორიის ყველა ნიშანი გამოხატულია ძლიერ: ვარჯი ძლიერ აჟურულია, ნაზარდი ძლიერ დასუსტებული და დამოკლებულია, ფოთლების, წიწვების ფერი ნორმალურთან შედარები შეცვლილია. გამხმარია ტოტების $\frac{1}{4}$ დან $\frac{1}{2}$ მდე;
4. ხმობადი - ვარჯი გამეჩხერებულია, მიმდინარე წლის ნაზარდი მცირედ აღინიშნება ან საერთოდ არ ფიქსირდება. აღინიშნება წვერხმელობა ან ვარჯის ხმობა. წიწვები და ფოთლები მომწვანო- მოყვითალო, სერია, ასევე აღინიშნება მათი ცვენა. გამხმარია ტოტების $\frac{1}{2}$ დან $\frac{3}{4}$ მდე;

კვლევითი ნაწილი

5. ახალი ზეხმელი ხეები - მიმდინარე წელს გამხმარი ხეები, წიწვები და ფოთლები მოყვითალო, სერი, მურა შეფერილობისაა, ისინი გამხმარი ან უკვე ჩამოცვენილია, ქერქი ძირითადად შენარჩუნებულია ან ცვივა კოდალების ზემოქმედების ან ღეროს მავნებლების დასახლების ადგილებში. გამხმარია ტოტების $\frac{3}{4}$ მეტი;

6. ძველი ზეხმელი ხეები - წინა წლებში გამხმარი ზეზემდგომი ხეები, წიწვები და ფოთლები უკვე ჩამოცვენილია, ნაწილობრივ ან მთლიანად შემოცლილია ქერქი, აღინიშნება ღეროს მავნებლების შესასვლელი და გამოსაფრენი ხვრელები და ნაღრღნი ფქვილის არსებობა.

2 სექტორებში არსებულ ნარგაობათა მდგომარეობის შეფასება

ქალაქ წყალტუბოს საკვლევი არეალი დაიყო A - B - C ზონებად, ხოლო ზონები 31 სექტორად. A ზონა დაყოფილია 4 სექტორად, B ზონა 11 სექტორად, ხოლო C ზონა 18 სექტორად. ნარგავების სახეობრივი და ხარისხობრივი შეფასება ჩატარებულია თითოეულ სექტორზე ინდივიდუალურად.



2.1 სექტორი A01

A01 სექტორში 17 სხვადასხვა სახეობის ნარგაობები გვხვდება, ძირითად წამყვან სახეობას მეტასექვოია ქმნის, რომელიც საკმაოდ მოზრდილ კორომს ქმნის, ნარგავები დიდტანოვანი,

კვლევითი ნაწილი

ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, კორომი გაშენებულია 1920-30-იან წლებში, ნარგავების საშუალო ასაკი 90 წელია (+ - 5 წელი), რაც დადგინდა პრესლერის ბურღის მეშვეობით ნარგავის გულიდან ამოღებული მასალით. ნარგავებს არ აღენიშნება რაიმე სახის დაზიანება ან მავნებლებისა და პათოგენური დაავადებების ნიშნები.



ასევე A01 სექტორში შერეულ კორომს ქმნის მაღალი დეკორატიული ღირებულები ნარგავები, როგორცაა: იაპონური მარადმწვანე მუხა, დიდყვილა მაგნოლიები, როგორც მოზარდი, ასევე დიდტანოვანი ეგზემპლარები. ამბრის ხე, ჰიმალაის კედრები, რომელაგან მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარს აღენიშნება წვერის ნაწილში წიწვების შეთხელება და წვეროს ნაწილის ხმობა. ლუზიტანიური კვიპაროსები, მარაოსებრი პალმა, ფინიკის პალმა, შედარებით მცირე რაოდენობითაა იტალიური და კავკასიური ფიჭვები, რამოდენიმე ერთეული მინდვრის ნეკერჩხალი და დიადი ბოყვი. ჭადრის რამდენიმე ეგზემპლარი ფაუტია, დაფუტებას ძირითადად წარსულში ხშირი და არასათანდო წესით ჩატარებული გადაბეღვა იწვევს.

ასევე A01 სექტორს მიეკუთვნება პარკის აღმოსავლეთი ნაწილის საფეხმავლო ბილიკების გასწვრივ არსებული გამწვანებული ზოლი, რომელიც ძირითადად ჭადრების, კვიდოსა და ქაფურის ხეებისგან შემდგარი ხეივანია. ხეივანში ნარგავების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მავნებელ დაავადებათა ნიშნები არ შეიმჩნევა.

ნარგავებიდან პარაზიტულ ფორმებად გვევლინება აილანთუსის, გლედირიასა და ამერიკული ნეკერჩხლის ამონაყრები, რომლებიც თვითმოთესვით ვრცელდება და სწრაფად მზარდი სახეობები არიან, ისინი აფერხებენ სხვა კულტურული ნარგავები ზრდა-განვითარებასა და ახალი ნარგავების აღმოცენებას. ტერიტორიის დეკორატიული და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ტერიტორია გაიწმინდოს აღნიშნული ნარგავების ამონაყრებისაგან.

საერთო შეფასებით, ვიიდან ნარგავებში უმნიშვნელო რაოდენობის ხეებს აღენიშნება მცირედი დაზიანებები და უდიდესი ნაწილი ნარგავებისა ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, A01 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.

2.2 სექტორი A02

A02 სექტორი 3 სახეობის წამყვანი სახეობებია, ტაქსოდუმის, მეტასექვიოასა და ჭადრების კორმისაგან შედგება, მცირე რაოდენობით, ალაგ-ალაგ წარმოდენილია ქვამუხა, იაპონური კრიპტომერია, კვილო და ჩვეულებრივი იფანი. თვითმოთესვით აქტიურად იზრდება დიადი ბოყვი.

კორომის დათვალიერებისას არ გამოვლინდა ხმობის პროცესი ან მავნებელ დაავადებათა მიერ გამოწვეული დაზიანებები.

ნარგობები მრავალწლოვანი, დიდტანოვანი, ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, შესაბამისად A02 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.3 სექტორი A03

A03 სექტორის ძირითად გამწვანებულ სივრცეს ფიჭვის კორომი ქმნის, სადაც ერთმანშია შერეული როგორც კავკასიური ფიჭვი, ასევე ვხვდებით იტალიურ და ზღვისპირის ფიჭვები. ფიჭვნარი ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, წარმოდგენილია როგორც დიდტანოვანი და მრავალწლოვანი ეგზემპლარები, ასევე მრავლადაა მოზარდი.

სექტორში მცირე რაოდენობითაა მეტასექვიოასა და ტაქსოდუმის ეგზემპლარები, ხეივნებში და სანატორიუმის გარშემო გვხვდება უთხოვარი, ირმის რქა, იაპონური მარადმწვანე მუხა, ორნაკვთიანი გინგკო, მაგნოლია, როგორც მოზარდი ასევე დიდტანოვანი და მრავალწლოვანი, არღავანი მცირე რაოდენობით, ფიჭვნარების მიმდებარედ ტერიტორია დაჭაობებულია და მრავლად გვხვდება ხილ-კენკროვანი ამონაყრები (ტემალი, ვაშლი, ქლიავი), ასევე გაუვალ ბუჩქნარს ქმნის ამორფა, რომელიც პარაზიტულ ფორმას წარმოადგენს

და ხელს უშლის კულტურული სახეობების ზრდა-განვითარებას, საჭიროა ტერიტორიის გაწმენდა, ამონაყრების ამოძირკვა.

კორტების გარშემო არსებულ მინდორზე დარგულია თეთრი ხვალოს ნარგაობები. ხოლო ბილიკების გარშემო ჭადრების ხეივანი, მტირალა ტირიფისა და ქაფურის ხის შერევით.

ნარგობები მრავალწლოვანი, დიდტანოვანი, ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, მრავლადაა თვითნათესი მოზარდი ნარგაობები. შესაბამისად A03 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.

2.4 სექტორი A04

A04 სექტორის ძირითად აქტიურად გამწვანებულ სივრცეს წარმოადგენს ჰიმალაის კედრების, ლუზიტანიური კვიპაროსების, იტალიური და ზღვისპირა ფიჭვების შერეული კორომი, კორომის გარშემო ჭადრების ხეივნები.

მცირე რაოდენობითაა შერეული სხვადასხვა სახეობა, დიდყვავილა მაგნოლია, არღვანის მოზარდი ნარგავები, მტირალ ტირიფი, ერთეულად მდგომი ამერიკული ნეკერხალი, პრიალა კვიდო. გზისპირა გამწვანებულ ზოლს პალმების ქმნის, ოლეანდრებისა და იუკების ბუჩქების შერევით.

სექტორსი საკმაოდ დიდი ფართობი უკავია ნაწილობრივ დაჭაობებულ ტერიტორიას, რომლის მიდამოებშიც დარგულია კატალპის, ქართული მუხისა და მინდვრის ნეკერჩხლის ნარგავები დიდი რაოდენობით, ხოლო ნარგავების გარშემო ტერიტორია დაფარულია თეთრი აკაციის, გლედიჩიას, ამორფას ამონაყრებით, მაცვლისა და ეკალიფის გაუვალი ბუჩქნარებით.

ტერიტორიაზე ჩასატარებელია გაწმენდითი სამუშაოები. ბუჩქნარების სრული ამოძირკვა, თეთრი აკაციისა და გლედიჩიის ამონაყრების გამოსწორვა ტერიტორიაზე მუხისა და ნეკერჩხლის ნარგავებს ზრდა-განვითარებისთვის საჭირო პირობებს შეუქმნის.

ნარგობები მრავალწლოვანი, დიდტანოვანი, ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, მრავლადაა მოზარდი ნარგაობები. შესაბამისად A04 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.

მუხისა და მინდვრიდ ნეკერჩხლის მოზარდი კორომი



2.5 სექტორი B01

B01 სექტორი, ტბის პირა ფერდობს მოიცავს, რომელიც ნაწილობრივ დასახლებულ ტერიტორიას მოიცავს, საცხოვრებელი სახლების გარშემო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებია, შესაბამისად ნარგავების დიდი ნაწილი ხილ-კენკროვანი კულტურებია, ხოლო ტბის მიმდებარე ფერდი დაფარულია შინდანწლას, მაცვლისა და ეკალიჭის გაუვალი ბუჩქნარით, გლედიჩების, ტყემლისა და ვაშლის თვითნაზარდი ამონაყრებით.

რამდენიმე ერთეულად გვხვდება პირამიდალური და ჰორიზონტალური კვიპაროსების გადაბერებული ეგზემპლარები, ასევე დიდტანოვანი და გადაბერებული თეთრი აკაციები.

შედარებით დიდი რაოდენობითაა დიდტანოვანი, გადაბერებული ფიჭვები, რომლებსაც დაწყებული აქვს ხმობის პროცესი. რამდენიმე მათგანი სრულად ზეხმელია, ხოლო ნაწილს დაწყებული აქვს წიწვის გაყვითლება და შემცირება.

ტბის პირას დეკორატიული მიზნით დარგულია მტირალა ტირიფი.

ვინაიდან ტერიტორიაზე, როგორც ბუნებრივი ასევე დეკორატიული ღირებულების მქონე ნარგავების სიმწირეა, ძირითად სივრცეს ეკლიანი ბუჩქები და სარეველა მცენარეები ქმნის, ხოლო კულტურული ნარგავები მცირე რაოდენობით, გადაბერებული ეგზემპლარებია, შესაბამისად B01 სექტორი შეფასდა როგორც II კატეგორიის მდგრადობა დაკარგული კორომი.



2.6 სექტორი B02

B02 სექტორის ნაწილი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებს, შესაბამისად ნარგავების დიდი ნაწილი ხილ-კენკროვანი კულტურებია, თხილის ბაღებით, ტყემლისა და ვაშლის ნარგავებით, ხოლო ნაწილი დაჭაობებულია და მიწის ფართობი დაფარულია შინდანლას, მაყვლისა და ეკალიძის გაუვალი ბუჩქნარით, გლედიჩების, თეთრი აკციის თვითნაზარდი ამონაყრებით. ბუჩქნარში რამდენიმე ერთეული დიდტანოვანი ჭადარია და კანადური ვერხვების გადაბერებული, აბედა სოკოთი დასახლებული, ავარიული ეგზემპლარები, რომლებიც საჭიროებს მოჭას.

ტერიტორია გასაწმენდია, ამოსაძირკვია ბუჩქნარები და საჭიროა თეთრი აკაციისა და გლედიჩის ამონაყრების გამოსშირვა.

სექტორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გვხვდება დიდტანოვანი, მრავალწლოვანი ჰიმალაის კედრებისა და ლუზიტანიური კვიპაროსების კორომი, რამდენიმე კვიპაროსს დაწყებული აქვს ხმობის პროცესი.

ვინაიდან კორომში მრავლადაა ხმობად და ავარიული კანადური ვერხვები, ხმობადი კვიპაროსი, მოზარდი კულტურული ნარგაობები არ გვხვდება და ტერიტორია ეკლიანი ბუჩქნარით იფარება, შესაბამისად B02 სექტორი შეფასდა როგორც II კატეგორიის მდგრადობა დაკარგული კორომი.



2.7 სექტორი B03

B03 სექტორი ჰიმალაის კედარის, ლუზიტანიური კვიპაროსისა და ჭადრების კორმისაგან შედგება, მცირე რაოდენობით წარმოდენილია კრიპტომერა, ლიქვიდამბრი და მაგნოლია, ასევე მცირე ზომის კვიდოს ამონაყრები.

კორომის დათვალიერებისას არ გამოვლინდა ხმობის პროცესი ან მავნებელ-დაავადებათა მიერ გამოწვეული დაზიანებები.

ნარგობები მრავალწლოვანი, დიდტანოვანი, ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, შესაბამისად B03 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.8 სექტორი B04

B04 სექტორს ჰიმალაის კედარის ხეივანი ქმნის, ლუზიტანიური კვიპაროსისა და დიდყვავილა მაგნოლიას მონაცვლებობითი შერევით, მცირე რაოდენობით გვხვდება ბიოტასა და კვიდოს ნარგავები.

კორომის დათვალეერებისას არ გამოვლინდა ხმობის პროცესი ან მავნებელ დაავადებათა მიერ გამოწვეული დაზიანებები.

ნარგაობები მრავალწლოვანი, დიდტანოვანი, ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, შესაბამისად B04 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.9 სექტორი B05

B05 სექტორის დიდი ნაწილი მინდორია, რომელიც არ არის ათვისებული ნარგავებით, გზისპირა ზოლები და სექტორის პერიფერიული ნაწილები დაფარულია მაცვლისა და ეკალიქის გაუვალი ბუჩქნარებით, მრავლდაა გლედიჩისა და თეთრი აკაციის როგორც დიდტანოვანი, ასევე მოზარდი ნარგავები, შერევით ამოსულია თუთის, ტყემლისა და კვიდოს თვითნათესი ამონაყრები. რამენიმე ერთეულად დგას ჩვეულებრივი იფანის დიდტანოვანი ეგზეპლარები. მრავლდაა დიდტანოვანი, გადაბერებული და ავარიული კანადური ვერხვები, გადაბერებული თეთრი აკაციების შერევით. საჭიროა ტერიტორიის გაწმენდა ბუჩქებისაგან. გადაბერებული-ავარიული ნარგავების მოჭრა და ახალი ნარგავებით ტერიტორიის შევსება.

საგზაო გამწვანებას ჰიმალაის კედარისა და აღმოსავლური ბიოტას ზოლი ქმნის.

ვინაიდან კორომში მრავლდაა ხმობად და ავარიული კანადური ვერხვები, მოზარდი კულტურული ნარგაობები არ გვხვდება და ტერიტორია ეკლიანი ბუჩქნარით იფარება, შესაბამისად B02 სექტორი შეფასდა როგორც II კატეგორიის მდგრადობა დაკარგული კორომი.



2.10 სექტორი B06

B06 სექტორის უდიდესი ნაწილი იმერული მუხისა და კავკასიური ფიჭვის ტყეს უკავია, ტყეში აქტიურადაა მუხის, ნეკერჩხლისა და ფიჭვის მოზარდი ნარგაობები, მცირე რაოდენობით ერევა რცხილა, ქვეტყეს ქმნის კუნელი. კორომი კარგად განვითარებულია, რამდენიმე მუხას აღენიშნება მუხის დიდი ხარაბუზას სადედე სასვლეები.

ყოფილი სასტუმროს ეზოსა და მის მიმდებარედ ტყემდე გვხვდება ჰიმალის კედარის ჯანსაღი დიდტანოვანი ნარგავები, რამდენიმე ეგზემპლარი იტალიური ფიჭვი, მცირე რაოდენობით ჰორიზონტალური კვიპაროსი, რამდენიმე ჯგუფად მოზარდი თეთრი ხვალო.

ნარგაობები მრავალწლოვანი, დიდტანოვანი, ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, შესაბამისად B06 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.11 სექტორი B07

B07 სექტორი რამდენიმე მცირე ზომის ჯგუფებისგან შედგება, ტერიტორიის ნაწილი მაყვლისა და გლედინის ამონაყრებითაა დაფარული, საჭიროა ტერიტორიის გაწმენდა. ჰიმალაის კედრის, ლუზიტანიური და ჰორიზონტალური კვიპაროსების შერევით, რკინიგზის შენობის მიმდებარედ არსებული გამწვანებული ზოლი შედგება ლიქვიდამბრის, კრიპტომერიას, მაგნოლიას, კატალპას, თეთრი ხვალოს, მცირე რაოდენობით იფანისა და ნეკერჩხლის ნარგავებით, მტირალა ტიფის ნარგავები მოზარდი და ჯანსაღია. ერთეულად განთავსებულია გადაბერებული და ავარიული აღვის ხე. მრავლწლოვანი ჭადრების ხეივანი ქმნიდა საგზაო გამწვანებას, რომელსაც ჩაუტარდა გადაბელვა, ხეები 3-3,5 მეტრის სიმაღლეზეა გადაჭრილი, რაც დღესდღეობით მავნე პრაქტიკას წარმოადგენს, გადაბელვა იწვევს ნარგავების ღეროს ლპობას, დაფაუტებას და სოკოვანი დაავადებების გააჩენას, რაც ხის დეგრადაციას იწვევს.

ვინაიდან კორომში მრავლადაა დაზიანებული ნარგავები, შესაბამისად B07 სექტორი შეფასდა როგორც II კატეგორიის მდგრადობა დაკარგული კორომი.



2.12 სექტორი B08

B08 სექტორში საფეხმავლო ბილიკის გარშემო არიზონას კვიპაროსის ხეივანია, ალაგ-ალაგ შერეულია ჭადარი. ნარგავები ჯანსაღი და კარგად განვითარებულია.

მდინარის გარშემო ტერიტორიის ნაწილი ნარგავებით გაუნაშენიაბელია, მცირე ჯგუფებადაა განლაგებული არიზონას კვიპაროსები, ყველა მათგანი დიდტანოვანი და კარგად განვითარებულია. მინდვრების ნაწილი დაჭაობებულია და დაფარულია მაცვლის ბუჩქებით, თეთრი აკაციისა და ტირიფის მოზარდი ამონაყრებით, ტერიტორია გასაწმენდია ამონაყრებისაგან.

ნარგობები მრავალწლოვანი, დიდტანოვანი, ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, შესაბამისად B08 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.13 სექტორი B09

B09 სექტორი წარმოადგენს ყოფილი სანატორიუმ საქართველოს მიმდებარედ არსებულ ხევს.

ფერდობებზე გაშენებული იყო ბაღ-ბოსტნები, რომელიც დღესდღეობით მიტოვებულია და გატყვიანებულია. კორომს ქმნის თეთრი აკაციის, გლედიჩიისა, თუთისა და ნეკერჩხლის

კვლევითი ნაწილი

ამონაყრები, ძირითად ნარგობას მოზარდი ნარგავები ქმნის, რამდენიმე ერთეულად დგას დიდტანოვანი ჭადარი და მის გარშემო თვითმთესვით ამოსული მრავალი მცირე ზომის ამონაყარი. ტერიტორია დაფარულია მაცვლით, სუროთი და სხვა მხვიარა მცენარეებით. ხევის მთლიანი პერიმეტრი გაუვალია და საჭიროებს გაწმენდას, ამონაყრების გამოსწორვას.

ფერდობის მცირე ნაწილზე, სანატორიუმამდე მისასვლელი კიბეების გარშემო ჰიმალაის კედრების კორომია, ჯანსაღი და კარგად განვითარებულია.

ნარგობები ჯანსაღია და კარგად განვითარებულია, ფაქტიურად მოზარი ნარგავებით, შესაბამისად B09 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.14 სექტორი B10

B10 სექტორი სკვერის ტიპის გამწვანებული სივრცეა, საფეხმავლო ბილიკების გასწვრივ მოწყობილია მრავალწლოვანი კვიდოს ხეივანი, ზოლებად განლაგებულია ლუზიტანიური კვიპაროსები, ცაცხვი და ჭადარი. მცირე რაოდენობით ფინიკის პალმა, გამწვანებული თარგები ირმის რქით, გრაკლას, გლიცინიასა და ვარდებითაა შევსებული.

მცირე ზომის შერეულ კორომს ლუზიტანიური კვიპაროსები და იტალიური ფიჭვები ქმნის.

ნარგობები ჯანსაღია და კარგად განვითარებულია, B10 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.15 სექტორი B11

B11 სექტორი მოიცავს მცირე ზომის სკვერს და საცხოვრებელი შენობების ეზოებს. ეზოების ტერიტორიაზე ურბანული ხეებიდან ჰიმალაის კედარი და ჭადარი გვხვდება, ხოლო დანარჩენ გამწვანებას ხილ-კენკროვანი ნარგავები ქმნის (ტყემალი, ქლიავი, ბალი, კარალიოკი, ვაშლი, მუსმულა). სკვერის ტერიტორიაზე გვხვდება იაპონური საკურა, ჰორიზონტალური კვიპაროსი, ირმის რქა, ფინიკის პალმა, ტუია ბურთისებრი, ტუიას ცოცხალი ღობე, გლიცინიასა და ღობის ვარდის შეკიდული ხეივანი, ერთეულად დგას ცაცხვი. ნარგავები ჯანსაღია და კარგად განვითარებული. შესაბამისად B10 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.16 სექტორი C01

C01 სექტორის ძირითად გამწვანებას წიწვოვანი ქმნიან, დიდტანოვანი ჰიმალაის კედრები, ლუზინატიური და ჰორიზონტალური კვიპაროსები, რამდენიმე ჯგუფადაა მოზარდი კვიპაროსები. რამდენიმე ეგზემპლარადაა დიდტანოვანი იტალიური ფიჭვი.

შენობის გარშემო ეკალიფისა და მაცვლის ბუჩქები გაუვალ ბუჩქნარს ქმნის, ასევე მრავლადაა ტყემლისა და თუთის ველური ამონაყრები, ტერიტორია გასაწმენდია ბუჩქნარებისაგან, ასევე მოსაჭრელია ტყემლისა და თუთის ველური ამონაყრები.

საერთო შეფასებით კორომი ჯანალი და კარგად განვითარებულია, არ შეინიშნება დაზიანებები, შესაბამისად C01 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.17 სექტორი CO2

CO2 სექტორი ყოფილი სასტუმროს უზოა, ძირითად გამწვანებას შენობის გრემო არსებული ჰიმალაის კედრის, ჰორიზონტალური კვიპროსისა და ჭადრების ნარგაობები ქმნის, ხოლო სექტორის ნაწილი ბაღ-ბოსტნებითაა ათვისებული და შესაბამისად ხილ-კენკროვანი ნარგავებითაა დატვირთული.

ზოგადი შეფასებით ნარგავები ჯანსაღია, დაზიანებები და ფიტოგენების კვალი არ შეინიშნება, შესაბამისად CO2 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.18 სექტორი CO3

CO3 სექტორი ყოფილი სასტუმროს უზო, გამწვანებას ქმნის შერეული კორომი, როგორც წიწვოვნები, ასევე ფოთლოვნები. ჰიმალაის კედარი, ჰორიზონტალური და ლუზიტანიური კვიპაროსი, ერთეულად მდგომი იტალიური ფიჭვი, დიდტანოვანი ჭადრები, წყავი, მარაოსებრი პალმა, მრავალწლოვანი კვილო და დიდტანოვანი ევკალიფტების ზოლი აქტიურ გამწვანებას ქმნის. ნარგავები ჯანსაღი და კარგად განვითარებულია.

სექტორის დიდი ნაწილი ბაღ-ბოსტნებითაა ათვისებული და შესაბამისად ხილ-კენკროვანი ნარგავებითაა დატვირთული.

ზოგადი შეფასებით ნარგავები ჯანსაღია, დაზიანებები და ფიტოგენების კვალი არ შეინიშნება, შესაბამისად CO3 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.19 სექტორი C04

C04 სექტორი მოიცავს სასტუმრო წყალტუბო ლეჯენდის ტერიტორიას, გამოირჩევა ნარგავების სახეობების სიმრავლით. გვხვდება: კავკასიური ფიჭვი, იტალიური ფიჭვი, ჰიმალაის კედარის კორომი, ატლასის კედარის რამდენიმე ეგზემპლარი, მრავალწლოვანი-დიდტანოვანი წყავის ნარგავები, ჰორიზონტალური და პირამიდალური კვიპაროსები, კრიპტომერია, იმერული მუხა, პალმების ხეივანი, აღმოსავლური ბიოტა, არღვანი, ქოლგა ფშატი, ირმის რქა, ქაფურის ხე, დიდყვავილა მაგნოლიას, როგორც მოზარდი ასევე დიდტანოვანი ნარგავები, ჭადრების ხეივანი, ოლეანდრას, ცხრატყავას, მუშმულას ბუჩქები, რამდენიმე ვაშლის ხე. სექტორის პერიფერიულ ნაწილში გადაბერებული-ავარიული კანადური ვერხვების მწკრივია, რომელიც საჭიროებს მოჭრას და ქარსაფარი ზოლის განახლებას.

დაზიანებები შეინიშნება ფიჭვებში, ხმელია რამდენიმე ეგზემპლარი, ხოლო რამდენიმე ერეულს დაწყებული აქვს წიწვის ცვენა და წვერის ხმობა, ტერიტორიაზე საჭიროა პრევენციის მიზნით დეტალური ფიტო-სანიტარული კვლევის ჩატარება და შესაბამისი სანიტარული ღონისძიებების გატარება (ნარგავების დამუსავება ფუნგიცილითა და ინსექტო აკარიციდებით).

ზოგადი შეფასებით ნარგავების უდიდესი ნაწილი ჯანსაღია, დაზიანებული ნარგავების რაოდენობა საკმაოდ მცირეა, შესაბამისად C04 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.20 სექტორი C05

C05 სექტორი ყოფილი სასტუმროს ეზოა, მცირე გამწვანებული სივრცით, გამწვანებულ სივრცეს ქმნის რამდენიმე ერთეული კრიპტომერია, ჰიმალის კედარის ჯანსაღი დიდტანოვანი ნარგავები, რამდენიმე ეგზემპლარი იტალიური ფიჭვი, მცირე რაოდენობით ჰორიზონტალური კვიპაროსი, რამდენიმე ჯგუფად მოზარდი თეთრი ხვალო.

ზოგადი შეფასებით ნარგავების უდიდესი ნაწილი ჯანსაღია, დაზიანებული ნარგავების რაოდენობა საკმაოდ მცირეა, შესაბამისად C05 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.

2.21 სექტორი C06

C06 სექტორი ყოფილი სანატორიუმ საქართველოს ტერიტორია, გზისპირა ნაწილი ბუჩქნარებითაა დაფარული, მაყვლის ბუჩქები ფარავს ტერიტორიას. მრავლადაა არღავანის მოზარდი ნარგავები, ასევე რცხილასა და იფანის როგორც დიდტანოვანი, ისე მოზარდი ნარგავები. შენობის უკანა ნაწილი აქტიურად გამწვანებულია, კაკასიური ფიჭვის, ჰიმალის კედარისა და ევკალიპტების დიდტანოვანი ნარგავებით, შენობის გარშემო გვხვდება რამდენიმე ეგზემპლარი ვერცხლისფერი ნაძვის.

ტერიტორიის ნაწილი ბაღ-ბოსტნებით იყო ათვისებული და შესაბამისად ხილ-კენკროვანი ნარგავებითა და გლედიჩიასა და კვიდოს ამონაყრებითაა დატვირთული, საწიროა აღნიშნული ლოკაციის გაწმენდა ამონაყრებისაგან.

ნარგავები ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, C06 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.22 სექტორი C07

C07 სექტორის ტერიტორიაზე აქტიურად გვხვდება ფიჭვის მოზარდი ნარგავობა, ჰიმალაის კედრების დიდტანოვანი ნარგავები ხეივნების სახითაა წარმოდგენილი. მრავლად გვხვდება ჰორიზონტალური კვიპაროსი, წყავი, არღვანი, რამდენიმე ეგზემპლარი იტალიური ფიჭვი, დიდტანოვანი ჭადრები, ირმის რქა, შენობების გასწვრივ ორნაკვტიანი გინგოსა და ტაქსოდუმის მწკრივები. ტერიტორიაზე აქტიურად იზრდება თვითმოთესვით ამოსული, ტყემლის, თუთის, ლედვის და სხვა ხილ-კენკროვანი ამონაყრები, რომლებიც მაყვლის რაყასთან ერთად გაუვალ ბუჩქნარს ქმნის. საჭიროა ტერიტორიის გაწმენდა, ბუჩქნარების ამოძირკვა.

სექტორის გზისპირა ნაწილებში გვხვდება გადაბერებული კანადური ვერხვის ქარსაფარი ზოლები, რომელიც საჭიროებს მოჭრას და ახალი ნარგავებით ჩანაცვლებას.

ასევე მოსაჭრელია 4 ერთეული ხმობადი და ზეხმელი ჰიმალაის კედარი.

საერთო შეფასებით, კორომი საჭიროებს სანიტარულ ჩარევას, ზეხმელი, ხმობადი და ავარიული ხეების, ასევე სარეველებისა და მაყვლის ბუჩქებისაგან გაწმენდას, მაგრამ ზოგადი

შეფასებით ნარგავების უდიდესი ნაწილი ჯანსაღია, დაზიანებული ნარგავების რაოდენობა საკმაოდ მცირეა, შესაბამისად C07 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.23 სექტორი C08

C08 სექტორი აქტიურად გამწვანებული სივრცეა, ნარგავები ძირითადად ხეივნებისა და მწკრივების სახითაა განლაგებული. გვხვდება ჰიმალაის კედარი, ჰორიზონტალური კვიპაროსი, ლუზიტანიური კვიპაროსი, აღმოსავლური ბიოტა, რამდენიმე დიდტანოვანი ამერიკული ნეკერცხალი, ქაფურის ხე, კვიდო, იაპონური მარადმწვანე მუხა, დიდტანოვანი დიდყვავილა მაგნოლია, კრიპტომერია, კავკასიური ფიჭვი, რამდენიმე ეგზემპლარი იტალიური ფიჭვის შერევით, ჩვეულებრივი იფანი, რცხილა, ცხენისწაბლი, ჭადარი.

ნარგავები დიდტანოვანი, ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, C08 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.24 სექტორი C09

C09 სექტორი ყოფილი სასტუმრო მედეას ტერიტორია, ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ეკალდიჭის, მაცვლის რაყითა და მცირე ზომის სხვადასხვა ამონაყრებითაა დაფარული და ქმნის გაუვალ ბუჩქნარს. ტერიტორიაზე საჭიროა გაწმენდითი სამუშაოებსი ჩატარება. დაბურული, გაუვალი ბუჩქნარი კულტურულ ნარგავებს აზიანებს და ხელს უშლის მათ ზრდა-განვითარებას.

აქტიურ გამწვანებულ კორომს ქმნის მრავალწლოვანი, დიტანოვანი ჰიმალაის კედრები და ჭადრები, ხეივანში გვხვდება პირამიდალური კვიპაროსები, შენობის გარშემო როგორც დიტანოვანი ასევე მოზარდი წყავი, დიდყვავილა მაგნოლია და მარაოსებრი პალმები. მცირე კორომად გვხვდება მუხები და გადაბერებულ, მაგრამ ჯანსაღი სასიცოცხლო ფორმის შენარჩუნებით კანადური ვერხვების ქარსაცავი ზოლი.

გაუვალ გატყიანებულ ნაწილში შერეულად გვხვდება იფნების და რცხილას ამონაყრები, გლედიჩიას, თეთრი აკაციის, ამერიკული ნეკერჩხლისა და აილანთუსის შერევით.

ნარგავები ჯანსაღი, დიტანოვანი და კარგად განვითარებულია. C09 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.25 სექტორი C11

C11 სექტორის უდიდესი ნაწილი რცხილის კორომს უკავია, შენობების გასწვრივ დარგულია მარაოსებრი პალმები, რამდენიმე ეგროთეულად განლაგებულია ჰორიზონტალური კვიპაროსი, ხოლო ყოფილი სასტუმრო შენობის უკანა მხარეს ჰიმალაის კედრების მცირე კორომი.

ნარგავები ჯანსაღი, დიდტანოვანი და კარგად განვითარებულია, არ შეინიშნება დაზიანებისა და პათოგენების ნიშნები. C11 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.26 სექტორი C12

C12 სექტორი აქტიურად გამწვანებულია, ყოფილი სასტუმრო შენობის წინა მხარეს ლუზიტანიური და პირამიდალური კვიპაროსებისა და პალმების ხეივანი, ხოლო ძირითად კორომს ჰიმალაის კედარი, კრიპტომერია, იტალიური და კაკვასიური ფიჭვი ქმნის წყავისა და მაგნოლიას შერევით.

სექტორის ჩრდილოეთი და სამხრეთი მხარე (შენობის უკანა ნაწილი) დაფარულია მრავლი სხვადასხვა მცენარის ამონაყრით. იფანის, რცხილას, ამერიკული ნეკერცხლის, გლდეიჩიას, თეთრი აკაცის, მცირე რაოდენობით აილანთუსის ამონაყრები ხილ-კენკროვან, ტყემლისა ალუბლის ამონაყრებთან ერთად ქმნის გაუვალ ბუჩქნარს. ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას და სარეველა-პარაზიტული მცენარეების ამოძირკვას, რომელიც აფერხებს კულტურული ნარგავების გამრავლებასა და ზრდა-განვითარებას.

ნარგავები ჯანსაღი, დიდტანოვანი და კარგად განვითარებულია, არ შეინიშნება დაზიანებისა და პათოგენების ნიშნები. C12 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.27 სექტორი C13

C13 სექტორი აქტიურად გამწვანებულია, ძირითად კორომს ჰიმალაის კედრები, ჭადარი და კანადური ვერხვის გადაბერებული მაგრამ ჯანსაღი სასიცოცხლო ფორმის მქონე ზოლები ქმნის, შერევით გვხვდება მარაოსებრი და ფინიკის პალმები, რამდენიმე ეგზემპლარი ლუზიტანიური კვიპაროსი, მრადმწვანე მუხა, წყავი და დიდყვავილა მაგნოლია. ნარგავები ჯანსაღი და კარგად განვითარებულია.

შენობის უკანა მხარეს ტერიტორია დაფარულია მრავალი სხვადასხვა მცენარის ამონაყრით. რცხილას, ამერიკული ნეკერჩხლის, გლდეიჩიის, თეთრი აკაცის ამონაყრები, ხილ-კენკროვან-ტყემლისა და ალუბლის ამონაყრებთან ერთად ქმნის გაუვალ ბუჩქნარს, ტერიტორია საჭიროებს გაწმენდას და სარეველა-პარაზიტული მცენარეების ამოძირკვას, რომელიც აფერხებს კულტურული ნარგავების გამრავლებასა და ზრდა-განვითარებას.

ნარგავები ჯანსაღი, დიდტანოვანი და კარგად განვითარებული, არ შეინიშნება დაზიანებისა და პათოგენების ნიშნები. C13 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.28 სექტორი C14

C14 სექტორის ნაწილი ბალ-ბოსტნებით იყო ათვისებული, შესაბამისად ნარგავების დიდი ნაწილი ხილ-კენკროვნებია (ტყემალი, თუთა, კარალიონი, ალუბალი, ლეღვი, ვაშლი). შენობის გასწვრივ გვხვდება ხეტიტას დიდტანოვანი ნარგავების მწკრივი, პალმების და ჰიმალაის კედრების ხეივანი. ჰორიზონტალური და ლუზიტანიური კვიპაროსების მცირე ჯგუფი. მცირე რაოდენობით ამერიკული ნეკერჩხალი, რამდენიმე ერთეული კვიდო და ოლეანდრას ბუჩქი.

ნარგავები ჯანსაღი, დიდტანოვანი და კარგად განვითარებულია, არ შეინიშნება დაზიანებისა და პათოგენების ნიშნები. C14 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.29 სექტორი C15

C15 სექტორის კორომს ქმნის ჰიმალაის კედარის დიდტანოვანი ნარგავები, მცირე დაოდენობით ერევა კვიპაროსი, მაგნოლია, მარაოსებრი პალმა და კვიდო.

ნარგავები ჯანსაღი, დიდტანოვანი და კარგად განვითარებული, არ შეინიშნება დაზიანებისა და პათოგენების ნიშნები. C15 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.30 სექტორი C16

C16 სექტორი აქტიურად გამწვანებულია, ძირითად კორომს ჰიმალაის კედრები, კავკასიური ფიჭვი და კვიპაროსის ხეივანი ქმნის, ჭადარი შერევით გვხვდება, მარაოსებრი და ფინიკის პალმები, რამდენიმე ეგზემპლარი ლუზიტანიური კვიპაროსი, წყავი და დიდყვავილა მაგნოლია. ნარგავები ჯანსაღი და კარგად განვითარებულია.

არ შეინიშნება დაზიანებისა და პათოგენების ნიშნები. C16 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.31 სექტორი C17

C17 სექტორი ყოფილი სასტუმრო შახტიორის ტერიტორიაა, სექტორში გამწვანებულ სივრცეს შერეული მადალპროდუქტიული კორომი ქმნის. ძირითად კორომს ჭადარი და ჰიმალაის კედარი ქმნის. მცირე ჯგუფებს ქმნის ლუზიტანიური კვიპაროსები და დიდყვავილა მაგნოლიები, რამდენიმე ეგზემპლარად წარმოდგენილია მრადმწვანე მუხა, ქაფურის ხე, დიდტანოვანი კვილო, ერთი ეგზემპლარი იაპონური ნეკერჩხალი და ჭყორფოთოლა მუხა. შენობის გარშემო განლაგებულია მარაოსებრი პალმები და მრავალწლოვანი წყავის ნარგავები. ერთი ეგზემპლარი დიდტანოვანი რცხილა და ორი ერთეული გადაბერებული - ავარიული ალვის ხე.

ნარგავები ჯანსაღი, დიდტანოვანი და კარგად განვითარებულია, არ შეინიშნება დაზიანებისა და პათოგენების ნიშნები. C17 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



2.32 სექტორი C18

C18 სექტორის ძირითად გამწვანებას ჰიმალაის კედარი ქმნის, შერეულია დიდტანოვანი ჭადრები, რამდენიმე ეგზემპლარი ლუზიტანიური და ჰორიზონტალური კვიპაროსი, ერთეულებად წყავი, ქაფურის ხე, არღავანი, დაფნა და კავკასიური ფიჭვი.

სექტორის ნაწილი ათვისებული იყო ბად-ბოსტნებით, შესაბამისად ამჟამად ხილ-კენკროვანი ნარგავების, ტყემლის, ქოლგა ფშატის, ვაშლის, ალუბლის ამონაყრები და მაცვლის რაყა გაუვალ ბუჩქნარს ქმნის, რომელი საჭიროებს გაწმენდას და ამონაყრების ამოძირკვას.

ნარგავები ჯანსაღი, დიდტანოვანი და კარგად განვითარებული, არ შეინიშნება დაზიანებისა და პათოგენების ნიშნები. C18 სექტორის კორომი შეფასდა როგორც I კატეგორიის მდგრადი კორომი.



3 ნარგავების მოვლის, მავნებლებელ დაავადებებთან ბრძოლისა და მალაქროდუქტიული კორომის შექმნის რეკომენდაციები

ქარსაფარი ზოლებს ზირითადად კანადური, შავი ვერხვი და ალვის ხეები ქმნის, მათი 70% გადაბერებული, ავარიული ხეებია, რომელიც საჭიროებს განახლებას. ვინაიდან ალვის ხის საამორტიზაციო ასაკი 40-50 წელს შეადგენს, ქარსაფარი ზოლი პერიოდულად საჭიროებს განახლებას. ხოლო ქარსაფარი ზოლის შემქმნელი ნარგავების ასაკი 60-70 წელს აჭარბებს.

საჭიროა ქარსაფარ ზოლებში ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი და ავარიული ხეების მოჭრა, ტერიტორიის გაწმენდა და ახალი ნარგავის დარგვა.

სარგავი მასალა მალალი ხარისხის, კარგად დაფესვიანებული, სწორი ღეროთი და განვითარებული ვარჯით უნდა იყოს. ნერგის სიმაღლე არანაკლებ 3 მეტრისა, ხოლოს ღეროს გარშემოწერილობა არანაკლებ 18-20 სმ-სა. დარგვის შემდეგ უნდა მოხდეს ნერგის გამაგრება სარით ორი მხრიდან და უნდა დაეხმოს კანაფის თოკით.

ბუჩქნარებისა და მცირე ზომის ამონაყრების მიერ შექმნილი ბუჩქნარების გაწმენდა კორომების პროდუქტიულობისა და ბუნებრივი განახლების პროცესისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გამომდინარე იქედან, რომ გლედიჩია, ამერიკული ნეკერხალი, თეთრი აკაცია, აილანთუსი წარმოადგენენ ერთგარ სარეველა მცენარეებს, რომლებიც მარივად ვრცელდებიან და აღმოცენდებიან თესლის გადატანით, სწრაფად მზარდი სახეობებია, რომლებიც მჭიდროთ იზრდებიან ერთმანეთში, ფარავენ ნიადაგის ფენას და ადგილობრივ სახეობებსა თუ სხვა კულტურულ-დეკორატიულ ნარგავებს უსპობენ გამრავლებისა და კორომის სახეობათა ბუნებრივი თაობათა ცვლის საშუალებას.

ტერიტორიაზე ნარგავები უნდა შეირჩეს კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების გათვალისწინებით, სარგავი მცენარეების ასორტიმენტის შერჩევისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მათ გარემოსთან შესაბამისობას.

მცენარე. მოვერიდოთ მონოკულტურების გაშენებას; სარგავი მასალა წინასწარ უნდა შემოწმდეს მავნებლებისა და პათოგენების არსებობაზე; ერთი სახეობის ნერგები უმჯობესია იყოს გამოყვანილი ანალოგიურ ან უფრო მკაცრ გარემო პირობებში-მზარდი, ჯანსაღი სადღე მცენარეებიდან. თესლი და შესაბამისად, სარგავი მასალა, უნდა იყოს მაქსიმალურად გენეტიკურად მრავალფეროვანი, რაც ჯერადად გაზრდის პოპულაციის მდგრადობასა და გამძლეობას მავნებელ-დაავადებებისადმი. სასურველია, დაავადებული წიწვოვნების ნაცვლად დაირგოს სხვა, არამონათესავე მერქნიან მცენარეთა სახეობები.

მრავალწლოვანი ნერგის დარგვისას ყურადღება უნდა მიექცეს მცენარის საკარანტინო პირობებს. ვინაიდან სარგავი მასალის უდიდესი ნაწილი იმპორტირებულია, მსგავს შემთხვევაში ასეთი ნერგები ახალი მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების საშიშროებას ქმნიან. შესაბამისად დარგვამდე ნერგები უნდა განთავსდეს საკარანტინო ზონაში მინიმუმ 3 თვის განმავლობაში, სადაც მოხდება მათზე დაკვირვება და ნებისმიერ შემთხვევაში დამუშავება პესტიციდებით (ინსექტიციდები, ფუნგიციდები, ბაქტერიოციდები). დამუშავება უნდა მოხდეს ფართო სპექტრის სისტემური და კონტაქტური პესტიციდებით, რათა გავაძლიეროთ მცენარეთა მდგრადობა ცნობილი დაავადებებისა და მავნებლების მიმართ და თავიდან ავიცილოთ ახალი, შემოტანილი დაავადებები.

მაკნებლები, პათოგენები. მცენარეთა მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის კლასიკური მეთოდია მცენარეთა დაცვის პროდუქტების (Plant Protection Products (PPPs)) გამოყენება. ისინი, ზოგადად, წარმოადგენენ სინთეზურ ქიმიურ ნაერთებს, რომელთაც შეუძლიათ სამიზნე ორგანიზმების განადგურება, მათი დაზიანებით უჯრედულ დონეზე ან სხვადასხვა სახის ფიზიკური კონტაქტით. PPPs გამოყენება ბუნებრივ ეკოსისტემებში მკაცრად ლიმიტირებულია, თუმცა უკიდურეს შემთხვევებში, გამოუვალი მდგომარეობის გამო, დაშვებულია (Holmes and MacQuarrie, 2016; Okorski et al., 2015).

ურბანული ხეები, როგორც ხელოვნური ლანდშაფტის ელემენტები, განიხილება როგორც კულტურული მცენარეები და მიდგომაც შესაბამისად განსხვავებულია. მსოფლიო მასშტაბით მათი დაცვისათვის გამოიყენება ისეთი PPPs-ები, როგორცაა ფუნგიციდები, ინსექტიციდები, აკარიციდები, ნემატოციდები.

კორომების შეფასებისას მცირე რაოდენობით დაზიანებული ნარგავები გამოვლინდა, რაც საერთო რაოდენობის ფონზე უმნიშვნელოდ ითვლება. მიუხედავად ამისა აუცილებელია ფიჭვებსა და კედრებში ჩატარდეს დეტალური ფიტოსანიტარიული კვლევა რათა გამოირიცხოს სოკოვანი დაავადებებისა და მავნებლების კერების გაჩენის რისკები. ვინაიდან წიწვოვნები განსაკუთრებულად მოწყვლადები არიან მავნებლებისა და დაავადებების მიმართ.

გამოვლენილი ღეროს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათზე დაკვირვების მიზნით, გამოყენებულ უნდა იქნას ფერომონიანი მწერსაჭერები (მავნე მწერების სახეობების გათვალისწინებით); მათი ხანგრძლივი გამოყენება საშუალებას იძლევა განადგურდეს მავნებლების არსებული მარაგი, დადგინდეს ყოველწლიური უმნიშვნელო გადახრაც კი მავნებლის რიცხოვნობაში და მოხდეს მისი რეგულირება; ფერომონიანი მწერსაჭერების გამოყენება უნდა განხორციელდეს მავნებლის ბიოლოგიის გათვალისწინებით, სათანადო ინსტრუქციისა და სპეციალისტების მეთვალყურეობით.

ფერომონიანი მწერსაჭერების გამოყენება არ იწვევს გარემოს დაბინძურებას, ამცირებს ან მთლიანად გამორიცხავს პესტიციდების გამოყენებას, ინარჩუნებს სასარგებლო ფაუნას, არ იწვევს მწერებში რეზისტენტობის გამომუშავებას, ხელს უწყობს მავნებლის ფიზიკურ განადგურებას და ამასთან ერთად ეკონომიურად მომგებიანიცაა.

ფერომონიანი მწერსაჭერები გამოყენება პროგნოზისა და სიგნალიზაციისათვის – 1 ცალი 10 ჰა-ზე, ისეთ კორომებში, სადაც ვიზუალურად არ შეიმჩნევა დაზიანება; მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მათი მასობრივი გამრავლების კერებში - საჭიროა განლაგდეს ვერტიკალური ზონალობის მიხედვით 1 ჰექტარზე 4 ცალის ოდენობით; მჭერებში დისპენსერების გამოცვლა მოხდეს 1,5-2 თვის შემდეგ. მჭერების შემოწმება და გასუფთავება კი უნდა განხორციელდეს 10 დღეში ერთხელ.

იდენტიფიცირებული დომინანტი პათოგენური სოკოების სახეობების გათვალისწინებით, გავეცანით და შევისწავლეთ ანალოგიური აგენტების წინააღმდეგ ბრძოლის უცხოური გამოცდილება და მსგავს შემთხვევებში გამოყენებული ფუნგიციდები. რა თქმა უნდა, მეთოდების, ჯერადობისა და გამოსაყენებელი ფუნგიციდების შერჩევა უნდა მოხდეს ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციისა და აზრთა შეჯერების შემდგომ.

გამოსაყენებელი ფუნგიციდების შესახებ მაქსიმალურად ფართო და ამომწურავი ინფორმაცია მოძიებულია დეკორატიული მცენარეების დაავადებების კონტროლის შესახებ 2012 წლის ამერიკულ გამოცემაში (*Disease Control Recommendations For Ornamental Crops. USDA*). აქ დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია მცენარეებისა და დაავადებების მიხედვით ოპტიმალური ფუნგიციდების შესახებ; მათი გამოყენების წესებისა და ადგილის, შეზღუდვებისა და საფრთხეების, ასევე ღებინაჟექტანტების, ბიოპესტიციდების, ბიოკონტროლის აგენტების შესახებ.

ლიტერატურული წყაროების შეჯერებით შეგვიძლია რეკომენდაცია გავუწიოთ რამდენიმე ფართო სპექტრის ფუნგიციდს, რომლებიც მაქსიმალურად მოიცავენ ჩვენ მიერ გამოვლენილ პათოგენებს. მათ შორის:

აზოქსისტრობინი (ალტერნარია, დიპლოდია, ფომა, დოტიორელა და სხვ.). პრეპარატები - **ჟუადრისი სკ** ან **ჟუადრის მაქსი** - მწარმოებელი syngenta, შვეიცარია.

სისტემური ფუნგიციდი - სტრობილურინების ჯგუფიდან. ინჰიბირებას უკეთებს სპორების გაღივებას, ასევე, სოკოების ჰიფების განვითარებას და ახასიათებს აშკარა ანტისპორაციული ზემოქმედება, უზრუნველყოფს ხანგრძლივ დაცვას. ახასიათებს სამკურნალო მოქმედება დაავადების განვითარების საწყის ეტაპზე.

აზოქსისტრობინი სტრობილურინების ჯგუფის სხვა პრეპარატებისგან განსხვავებით, უკეთესად გადაადგილდება მცენარეში, არ ჩაირეცხება წვიმით დამუშავებიდან 2-2.5 საათის მანძილზე. პრეპარატის გამოყენების შემდეგ პათოგენი კვდება რამდენიმე საათის განმავლობაში.

თრგუნავს პათოგენის უჯრედს, ბლოკირებას უკეთებს მის სასიცოცხლო ციკლს. აუმჯობესებს მცენარის ცხოველმყოფელობას, ხელს უწყობს ქლოროფილის წარმოქმნას. მცენარე ადვილად იტანს სტრესს (გვალვა, ყინვა, ტემპერატურის მკვეთრი რყევა და ა.შ.). თავსებადია უმეტეს პესტიციდებთან.

ქლოროტალონილი (ალტერნარია, დიპლოდია, კურვულარია, ფომა და სხვ.). პრეპარატები - **ბრაჯო სკ** - მწარმოებელი syngenta, შვეიცარია .

მოქმედების ფართო სპექტრის მქონე **კონტაქტური ფუნგიციდი**, მკვეთრად გამოსატული დამცავი უნარითა და ნალექების მიმართ კარგი მედეგობით. ანადგურებს სოკოების სპორებს მათი გაღივების მომენტში.

გამოიყენება მრავალი პათოგენური სოკოს წინააღმდეგ (ასკომიცეტები, ბაზიდიომიცეტები, დეიტერომიცეტები, ოომიცეტები) და სხვ. პრეპარატი რეგისტრირებულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, 65 კულტურულ მცენარეზე და 125 დაავადების წინააღმდეგ.

უნიკალური პრეპარატიული ფორმის გამო ძალზედ მაღალი მედეგობა აქვს წვიმის მიმართ.

პრეპარატის ფორმულაცია შესაძლებლობას იძლევა მაღალი ხარისხის მიმწებებლობისა - ზედაპირზე ქმნის წვიმის მიმართ მედეგ დამცავ აპკს. ფუნგიციდი ბლოკირებას უკეთებს მთელ რიგ სასიცოცხლო პროცესებს პათოგენის უჯრედში, რის გამოც გამორიცხულია რეზისტენტობის წარმოქმნა.

ეფექტურია ტემპერატურის ფართო დიაპაზონში. დაცვითი მოქმედების ხანგრძლივობა 10–14 დღე. შესანიშნავი პარტნიორია სხვა ფუნგიციდებთან კომბინაციაში ანტირეზისტენტული პროგრამისათვის (ტრიაზოლები, სტრობილურინები, ფენილამიდები).

სრულიად უვნებელია მცენარისათვის, ვინაიდან არ ახასიათებს ფიტოტოქსიკურობა.

მანკოცები (ალტერნარია, დიპლოდია, კურვულარია, ფომოფისი და სხვ).
პრეპარატები - **ლანგრიფი, მანკომი 80**

კონტაქტური ფუნგიციდი. ეფექტური კონტროლისათვის გამოყენებულ უნდა იქნას პროფილაქტიკის მიზნით, დაავადების გამომწვევი სოკოს მცენარეში შეჭრამდე. გააჩნია მცენარის მასტიმულირებელი ეფექტი: ხელს უწყობს მცენარის ვეგეტატიური ნაწილების ზრდას; თავსებადია მრავალ ფუნგიციდთან და ინსექტიციდთან, რაც იძლევა მის ნაზავებში გამოყენების საშუალებას; შეუცვლელია ინტეგრირებული დაცვის სისტემებში გამოსაყენებლად; არ არის ფიტოტოქსიკური დასაცავი კულტურის მიმართ; ახასიათებს რეზისტენტობის განვითარების დაბალი ალბათობა; დაბალტოქსიკურია ფუტკრისთვის.

პროპიკონაზოლი (ალტერნარია, დიპლოდია)

ქლოროტალონილი+მეთილ თიოჰანატი (ალტერნარია, დიპლოდია, დოტიორელა, ფომა)

აზოქსისტრობინი+პროპიკონაზოლი და მეტკონაზოლი (დოტიორელა)

გავრცელებული პრაქტიკით სასურველია სისტემური ფუნგიციდების 1-3-ჯერადი გამოყენება. ფუნგიციდებით დამუშავება (განსაკუთრებით წიწვოვნების) უნდა მოხდეს ვეგეტაციის დაწყების პერიოდში, როდესაც ახალგაზრდა ყლორტები ყველაზე დაუცველია. როგორც წესი, რეკომენდებულია აპრილ-მაისში, თუმცა გასათვალისწინებელია ლოკალური კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებებიც. დანარჩენ პერიოდში საჭიროა კონტაქტური ფუნგიციდების გამოყენება ინსექტიციდებთან კომპლექსში.

აუცილებელია დამუშავება მოხდეს ხის კენწეროდან, მოიცვას მთელი ვარჯი, ცენტრალური ღეროსა და დიდი რტოების ქერქი. სასურველია მიმდებარე მიწის ზედაპირის დამუშავებაც, სადაც ჩამოცვნილ წიწვებში პათოგენების დიდი რაოდენობით სპორებია. ალტერნარიას შემთხვევაში - მას ნიადაგში ცხოვრებაც შეუძლია.

პროფილაქტიკური მიზნებისათვის სასურველია მოხდეს **დეზიფექტანტების** გამოყენება. ჩვენს შემთხვევაში რეკომენდებულია **კალიუმის ბიკარბონატის** გამოყენება, რადგანაც ის არის ეფექტური გამოვლენილი პათოგენების წინააღმდეგ, უსაფრთხო ადამიანის, ცხოველებისა და სხვა მცენარეებისათვის. ზემოქმედების ობიექტებში ჩამოთვლილია ალტერნარია, დიპლოდია, დოტიორელა და სხვ. ეს პრეპარატი საერთაშორისო სტანდარტებით გამოიყენება ორგანულ სოფლის მეურნეობაში, როგორც ფუნგიციდი. თავისუფლად შეიძლება დასახლებულ რაიონებში გამოყენება.

მცენარეთა იმუნიტეტის ასამაღლებლად და ასევე მათ დამატებით საკვებად, განსაკუთრებით ახალ ნარგაობებში, რეკომენდირებულია გამოვიყენოთ **კალიუმის ფოსფიტი** (მაგ., პრეპარატი **ამინოალექსინი**). მას აქვს იმუნომასტიმულირებელი ეფექტი, ანტისტრესული ზემოქმედება, დამთრგუნველი ზემოქმედება პათოგენებზე, წარმოადგენს ფოსფორისა და კალიუმის ალტერნატიულ წყაროს.

ენდოთერაპია. მცენარეთა მკურნალობის ეს მეთოდი გულისმობს მცენარეში ინტრავასკულარული გზით ქიმიური პრეპარატების შეყვანას. ის, ასევე, ცნობილია როგორც „ღეროს ინექციის“ მეთოდი. დღეისათვის კარგად აპრობირებული და ფართოდ გამოყენებული მეთოდია განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა მაღალი ფასის

გამო მასობრივი გამოყენება არ აქვს. ენდოთერაპიაში სხვადასხვა დანიშნულებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დანიშნულების პესტიციდები, სასუქები და ნებისმიერი სახის სხვა პრეპარატი. კომერციულად ხელმისაწვდომია მცენარეების სახეობებისა თუ კონკრეტული დაავადების ან მავნებლის (ან ორივეს ერთად) საწინააღმდეგო სხვადასხვა ნაკრები.

თბილისის შემთხვევაში მისი გამოყენება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება. მაგ., ექსკლუზიურ, ქალაქისათვის ისტორიული მნიშვნელობის ხეებზე, ბოტანიკური ბაღის განსაკუთრებულ ეგზემპლარებზე და სხვ.

ფიტოსანიტარული ღონისძიებები. მავნებელ-დაავადებათა დროული გამოვლენა და შემდგომი სანიტარული ღონისძიებები აუცილებელი პირობაა პრობლემის ლოკალიზაციისათვის.

დაავადებულ მცენარეებზე ნებისმიერი სანიტარული ღონისძიებები უმჯობესია ჩატარდეს ზამთრის პერიოდში, როდესაც პათოგენები არააქტიური არიან და სპორების გავრცელება შეჩერებულია (სამწუხაროდ, ფიჭვების შემთხვევაში არც ეს არის ეფექტური, რადგანაც სოკო იზამთრებს წინა წლის გირჩებზე). წელიწადის სხვა დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს მშრალ ამინდში. საჭიროა მოხდეს იარაღების დეზინფიცირება.

ზეხმელი ხეები სავალდებულოდ უნდა მოიჭრას და მოხდეს მათი ტერიტორიიდან შემდგომი გატანა. ასევე ჭრას უნდა დაექვემდებაროს მავნებელ-დაავადებების მიერ დაზიანებული, დასუსტებული, არაპერსპექტიული ხეები. ეს შეამცირებს როგორც მავნებლების, ასევე, პათოგენი მიკროორგანიზმების საკვები ბაზის მოცულობას, მარაგს და შესაძლებელს გახდის მათი რიცხოვნობის რეგულირებას. ფიჭვების შემთხვევაში, დარჩენილი მცენარეებიდან და მთლიანად ტერიტორიიდან სასურველია, შეძლებისდაგვარად, მოშორდეს წინა წლის გირჩებიც.

მოჭრილი ხეები, ან მათი ნაწილები, გატანამდე უნდა დამუშავდეს პესტიციდების დაბალდოზიანი კომბინირებული ნაზავებით - ფუნგიციდებით, ინსექტიციდებით. ჭრის ნარჩენები, წვრილი ტოტები და ქერქები შესაძლებელია, დაიწვას ადგილზე, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით. ადგილზე დასაწყობების შემთხვევაში, შეიძლება, გამოყენებულ იქნეს ინსექტიციდური ბადეები, რომელთა მეშვეობითაც არ განხორციელდება მავნე ორგანიზმების მიგრაცია; სასურველია დეზინფექტანტების გამოყენებაც.

თუკი ქიმიური დამუშავება შეუძლებელია, მოჭრილი ხეების და მათი ნაწილების გატანა დანიშნულების ადგილამდე უნდა განხორციელდეს დახურული სატრანსპორტო საშუალებებით, რათა არ მოხდეს გზაში სპორების დამატებითი გავრცელება - გამოვლენილი პათოგენების უმრავლესობა ჰაერისმიერი გავრცელებისაა.

ძველი, დაავადებული ხეების ჩანაცვლების შემთხვევაში უნდა მოხდეს არსებული ნიადაგის საფარის დეზინფიცირება (მიუხედავად იმისა, შეგვაქვს ახალი ნიადაგი თუ არა). იგივე ტერიტორიაზე ახალი ნარგავების გაშენების შემთხვევაში (განსაკუთრებით წიწვოვანი სახეობების) საჭიროა ნიადაგის ზედაპირის დამუშავებაც, რათა განადგურდეს პათოგენური სოკოების სპორები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას და წარმოადგენენ საფრთხეს.

სასურველია დაავადებული წიწვოვნების ადგილას დაირგოს სხვა, არამონათესავე მერქნიან მცენარეთა სახეობები. თუკი კონკრეტული აუცილებლობიდან გამომდინარე

საჭიროა ისევ ფიჭვების დარგვა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიპლოდიოზისადმი ყველაზე მაღალი მიმდებლობის გამო, შავი ფიჭვი უნდა ჩანაცვლდეს სხვა სახეობებით; მათ შორის მოიხსენიებენ ევროპულ ფიჭვსაც (*Pinus sylvestris*), რომელთანაც დღეს გაერთიანებულია კავკასიური (სოსნოვსკის) ფიჭვი (*P. sylvestris subsp. hamata*). შავ ფიჭვთან შედარებით ასევე უპირატესი რეკომენდაცია გააჩნია ელდარის ფიჭვსაც.

აზოტოვანი სასუქების გამოყენება რეკომენდებულია ლიმიტირებულად, რადგანაც არსებული გამოცდილებით, ისინი ზრდის მცენარეთა მიმდებლობას გამოვლენილი პათოგენებისადმი.

სექტორი	მდგრადი კორომი	დარღვეულია კორომის	დაკარგულია კორომის
A01	x		
A02	x		
A03	x		
A04	x		
B01		x	
B02		x	
B03	x		
B04	x		
B05		x	
B06	x		
B07		x	
B08	x		
B09	x		
B10	x		
B11	x		
C01	x		
C02	x		
C03	x		
C04	x		
C05	x		
C06	x		
C07	x		
C08	x		
C09	x		
C11	x		
C12	x		
C13	x		

C14	x		
C15	x		
C16	x		
C17	x		
C18	x		

ცხრილი: კორუმეების მგომარობა

კორუმების მდგომარეობის
კლასიფიკაცია:



მდგრადი კორომი



დარღვეულია კორომის მდგრადობა



დაკარგულია კორომის მდგრადობა

